F1 N12

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 142

სამშაბათი, 4 ივლისი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 142

სამშაბათი, 4 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქისტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი"**.

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიისთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—10)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გძელიშვილი.** $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. ზ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ქუთაისის ჰაჭავ-ცემულ საზოგა-დოების საყურა-დღებოდ.

ჰურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—23)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 3 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გაგზავნა დიდძალი გოგირდი და შაბიამანი კახეთში ვენახების საწამლებლად. გოგირდი და შაბიამანი თვით მემამულეებს დაუბარებიათ კახეთიდგან.

*** როგორც შევიტყვეთ, ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში განზრახვა აქვთ შემოიღონ ნემეცურისა და ფრანგულის ენის სწავლება, რისათვისაც სათანადო მთავრობასთან შუამდგომლობაც აღუძრავთ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ნება დართო მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს ნ. ა. კარიშევს გამართოს დაბა გელენჯიკში (შავის ზღვის პირის გუბერნიაში) მებოსტნეობისა და მევენახობის პრაქტიკული კურსები, კურსების მოსაწყობად ჯერ ხანად სამინისტრომ 300 მანეთი გადასდო.

*** გზათა სამინისტროს აზრადა აქვს შემოიღოს რკინის გზებზედ განსაკუთრებული ვაგონები— აპანოები გზებზედ მოსამსახურეთათვის. ამას გარდა განუზრახავს ვანებიც შემოიღოს მატარებლებში როგორც მგზავრთათვის, აგრეთვე გზაზედ მოსამსახურეთათვის.

*** ამიერ კავკასიაში ჩამოსულან ბელგიელი კაპიტალისტები ვერმელენი და ბერნარდი. ამ კაპიტალისტებს აზრადა აქვთ გამოიკვლიონ აქაის ადგილები, სადაც ქვა-მადნებია, შეიძინონ და შემდეგ წარმოებას შეუდგნენ.

*** გზათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზების ბუფეტების პატრონთათვის სავალდებულო გაჰხადონ მცირე-წლოვანი მოსამსახურენი არ ამუშავონ ხოლმე საღამოს 10 საათიდგან დილის 6 საათამდე. გზის გამგეობა ვალდებულია ასეთი პირობა ხელშეკრულობაში ჩაუწეროს ხოლმე ბუფეტის პატრონებს.

*** გუშინ-წინ, 2 ივლისს, მიხაილოვიდგან ბათუმამდე ნავთის გასაყვან მილის გახსნას, სხვათა შორის, დაესწრო კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი.

*** რადგანაც ამ ჟამად ქალაქის გამგეობაში ბევრი საქმეები მოგროვდა, ამისა გამო წევრი გამგეობისა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ორის თვით დათხოვნით ვეღარ ისარგებლებს და ტფილისში დარჩება.

*** ტფილისის საბალოსნო სკოლაში განზრახულია ამიერიდგან ბალოსნობის შესახებ პრაქტიკულს გაკვეთილებს მეტი დრო დაეთმოს და მოწვეულ იქმნეს ახალი საგანგებო მეთვალყურე, რომელმაც პანსიონში მცხოვრებ მოწაფეთ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და საზოგადოდ განკარგებულ იქმნას საზოგადო საცხოვრებელ სახლის საქმე. ყველა ამისათვის საჭირო ხარჯი დაფარულ იქმნება იმითი, რომ ჩვეულებრივზედ მეტს ყვავილებსა და ხილს გაჰყიდიან სასკოლო ბაღიდგან.

*** ორს ივლისს, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა ხუთი ფრანგი მოგზაური, რომლებიც ბრიუსელში სწავლობენ რიკ-

## ფელეტონი

### სესილ როდსი

(ბიოგრაფიული ცნობები)

(შემდეგი *)

ძირითადი თანხა როდსის მიერ დაფუძნებულის საზოგადოებისა იყო ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი; ეს თანხა დაყოფილი იყო აქციებად, რომელიც უღირდა თითო გირვანქა სტერლინგს; ასეთი მცირე ფასი იმიტომ დაუწესა, რომ ყველას ხელი მისწვდენოდა და საერო ხასიათი ჰქონოდა. როდსი თუმცა ატყობდა, რომ ეს მისგან დაწყებული საქმე ფინანსიური მხრივ საიმედო არ იყო, ამას არც უმალავდა მეაქციეებს, მაგრამ მაინც ჰსასოებდა, რომ კარგი შედეგი ექნებოდა ფინანსიურ მხრივაც. აი მისი აზრი რა იყო: დიდი ადგილები, რომელიც ამ საზოგადოების ხელში იყო, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა ევროპიელთა ახალშენების დასაფუძნებლად; როდსი ჰფიქრობდა, რომ ხალხს მოიზიდავდა ამ ადგილებში, გაშენდებოდა იგი, შემდეგ თვით ხალხი იზრუნავდა თავისის თავისათვის და საზოგადოება დაურიგებდა მათ მიწებსა, რომელიც მათს სრულს მფლობელობაში დარჩებოდა, მხოლოდ საზოგადოებას გადაუხდიდნენ იმ ხარჯს, რაც მას მოუვიდა ამ ადგილების გამო; საზოგადოებას ნება არა ჰქონდა დასახლებული ხალხი გაეძევებინა და მოგებით მიეცა მიწები. მაგრამ საიდგან უნდა მიეღოთ აქციების პატრონებს მოგება, დივიდენდი? ამის პასუხად როდსი იმას ეუბნებოდა, რომ შევიმუშავოთ ბუნების სიმდიდრე ქვეყნისა და შემოსავალი გვექნებაო; თუ საკმაო ოქრო აღმოჩნდება, საზოგადოება ისედაც გამდიდრდებაო.

მიიღო თუ არა უფლებანი, როდსმა მაშინვე მიჰყო ხელი თვისის აზრების განხორციელებას. ყოვლის უწინარეს იმისთვის იზრუნა, რომ კიმბერლეი რკინის გზითა და ტელეგრაფით შეეერთებინა კაპშტადტთან; შემდეგ მან განაგრძო გზა მეფკინგ და ირენბურგამდე. ამასთანავე მან დაიწყო მოლაპარაკება მოშონებთან, რომ იმათი მიწა-წყალიც აგრეთვე ჩაეგდო ხელში და ამიტომ იმან დაუწყო ამის შესახებ მოლაპარაკება ცნობილს მონადირეს ზელუსს, რომელსაც ოცს წელზედ მეტი ეცხოვრნა იმ ქვეყანაში. ზელუსი პირობით შეეკრა, რომ იგი შეადგენს ექსპედიციას 200 ევროპიელ და 150 ადგილობრივ მუშათაგან და მიიყვანს იმათ მოუნტგემპდენში, მოშონოლიანდის შუაგულ ადგილში. ეს ორასი ევროპიელი იყვნენ პირველ ახალშენის გამმართველნი, რომელთაც როდსის საზოგადოებამ მიწები მისცა და ნება მადნების მუშაობისა.

ეს პაწია რაზმი შეუდგა გზას; ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, ასე გასინჯეთ, თან ოთხი მაქსიმის ზარბაზანიცა ჰქონდათ; ამას გარდა მათ თან მისდევდა 65 ფურგუნი, დაბარგული სანოვაგითა და კარვებით. რასაკვირველია, ყოველივე ღონე იღონეს, რომ სიფრთხილით მოქცეულიყვნენ და სახიფათო არა შემთხვეოდათ-რა. რაზმი წავიდა ივნისის გასულს, 12 ენკენისთვეს მიაღწიეს დანიშნულს ალაგსა და დაიჭირეს მოშონალენდი, ასე რომ ერთი თოფიც არ დაუცლიათ.

როდსმა მაინც ვერ მოისვენა ამ გამარჯვებით; ახლა მოინდომა, რომ საზოგადოების მოქმედება კიდევ გაფართოვებულიყო და ზამბეზეც ხელში მოეგდო; როდსმა ჩამოართვა ამ ადგილის უფროსს ლევანიკას ისეთივე პირობანი, როგორიც ლობ-ენგულს, და შეისყიდა უფლებანი იმ ამხანაგობისა, რომელიც ლევანიკას სამფლობელოში იყო დამკვიდრებული. ამ სახით როდსმა შეასრულა ერთი ნახევარი თვისის გეგმისა: განზიდა შორს, შორს ინგლისის სამფლობელოთა სამზღვარნი და შეიძინა მისთვის ოთხჯერ მეტი მიწა-წყალი, ვიდრე თვით დიდი ბრიტანიაა, ისე, რომ ერთი მანეთი არ დაუხარჯვინებია თავისის სამშობლოსათვის. ამ მოქმედებით როდსმა განაცალკევა, გაიმარტოვა ჰოლანდიელთა რესპუბლიკები და გარს ჯაჭვივით შემოარტყა ბრიტანიის სამფლობელონი. ახლა ხელი მიჰყო თვისის აზრის მეორე ნახევრის განხორციელებასა.

როდსი ამ დრომდე თვალსაჩინო პოლიტიკურს საქმეებში არ იყო გართული, შესამჩნევს როლს არ თამაშობდა ახალშენთა საქმეებში. მართალია, იგი იყო კაპის პარლამენტის წევრი, ერთხელ ფინანსთა მინისტრის თანამდებობასაც ასრულებდა, მაგრამ სულ ექვსს კვირას იყო, რადგან სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა. როდსი მაინც და მაინც სცდილობდა მოეპოვებინა პოლიტიკური ძალა და გავლენა, ამიტომ იგი დაუახლოვდა აფრიკანდერთა კავშირს, რომელიც დაფუძნებული იყო 1880 წელში ჰოლანდიელ ახალმოშენეთა ინტერესების დასაცველად. ინგლისის ენის უცოდინარობა, უშველებელ ადგილ-მამულზე გაფანტვა, მწყემსური ცხოვრება, მხნელ-მთესველობა—ყველა ეს უშლიდა მოახალშენეთ მიეღოთ მონაწილეობა პოლიტიკურს ცხოვრებაში; ამასთან მათ შორის არ იყო მყარი ერთობა; მხოლოდ როდესაც კავშირი დაარსდა და სათავეში მას გოფმეიერი ჩაუდგა, რომელიც დიდის ნიჭის პატრონი იყო, მაშინ შეიცვალა გარემოება აფრიკანდერთა სასარგებლოდ.

როდსი პირველად კარგს განწყობილებაში არ იყო გოფმეიერთან,

*) იხ. „ივერია" № 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუს ინსტიტუტში. მოგზაურთთან ახლავთ ინსტიტუტის მასწავლებელი ბ-ნი კორლი. აქედგან იგინი ბაქოში წავლენ ნავთის წყაროების ადგილობრივ გასაცნობად.

** როგორც აბასთუმნიდგან იუწყებიან, იქ ამ ბოლოს დროს საუცხოვო დარები დაუჭერია. საააგარაკოდ ამ წელს, წასულ წლებთან შედარებით, ხალხი ნაკლებად მისულა, მაგრამ სამაგიეროდ იაფობაა თურმე.

** რადგანაც ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი ნიმანდერი საზაფხულოდ დათხოვნილია, 1-ლ ივლისიდგან ბრალმდებლის თანამდებობას მისი ამხანაგი პ. პ. ფონ-კლუგენი ასრულებს.

** ქალაქის გამგეობამ ამ წელსაც ნება დართო, რომ ქალაქის საყასბოში მსახურმა ბეითალებმა თითო თვით რიგ-რიგით თავისუფლება აიღონ ხოლმე და დაისვენონ.

** 22 ივლისს, ს. ქარელში საცეკვაო სალამო თურმე განზრახული მომავალ სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

** ამ დღეებში ქალაქის გამგეობისა და მკურნალთა და ტეხნიკოსთაგან შემდგარ საგანგებო კომისიის შეერთებული სხდომა მოხდა, რომელზედაც გადასწყვიტეს ნატახტრის წყაროები ბაქტერიოლოგიურადა და ქიმიურად გამოიკვლიონ. ეს სამუშაო მიანდეს საგანგებო კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც ამორჩეულ იქმნა დოქტორი ლუნკევიჩი, ხოლო კომისიის წევრებად—ქალაქის ინჟენერი ბ-ნი ალიბეგოვი, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი, ქალაქის ქიმიკოსი ბ-ნი ალიბეგოვი, ექიმი რაზამატი, წყლის მილის გამგე ლისიცკიანცი და ინჟენერი ოზეროვი. კომისიას შეუძლიან რჩევისათვის სხვა სპეციალისტებიც მიიწვიოს ხოლმე.

** ს. საგარეჯოში პარტახტიანი სახადი გაჩენილა. სახადით ხუთი გამხდარა ავად, ამათში სამი გარდაცვლილა.

** ამ ბოლოს დროს რამდენსამე კაცს უთხოვნია (მათში უმეტესობა არა ქართველნი არიან) ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისათვის, წევრად მიგვიღეთო. ზოგს რამდენსამე ასი მანეთის პაის აღება მოუწადინებია.

** შორაპნის მაზრის მცხოვრებლებმა რკინის გზის მმართველობას ფული მოსთხოვეს იმ 24 ნაჭერ ადგილში, რომლებიც რკინის გზას მოხმარდა. ეს საქმე გარდასაწყვეტად მთავარმართებლის კანცელარიას გადაეცა.

** ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია და დასამტკიცებლად წარუდგენია ის წესები, რომელთა მიხედვითაც უნდა აკეთებდნენ და ჰყიდდნენ ხელოვნურ ტკბილეულობის ნაწარმოებთ. ეს პროექტი განუხილავთ კიდეც და მოკლე ხანში ახალი წესები იქმნება შემოღებული.

** როგორც გზათა სამინისტროს მიერ გამოცემულ სტატისტიკური ცნობებიდგანა სჩანს, ეხლა სახაზინო რკინის გზის ლიანდაგის სივრცე 30,208 ვერსია; 1900 წელს ხაზინას შეუძენია 2,875 ვერსტი.

** ხუთშაბათს, 29 ივნისს, კავკასიის მკურნალთა მეორე კრების კომიტეტს სხდომა ჰქონდა. სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე კომიტეტისა ბ-ნი ლუნკევიჩი, თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი არტემიევი, გამგენი სექციებისა: კეთროვნებისა—ბ-ნი ქიქოძე, სანატორიებისა—ბ-ნი რუდენკო, ბალნეოლოგიისა—ბ-ნი არტემიევი, სიფილისისა—ბ-ნი ისტამანოვი, გადამდებ სენთა—ბ-ნი სტეფანოვი, თვალების ავადმყოფობისა—ბ-ნი ლარიონოვი და სულით ავადმყოფთა—ბ-ნნი ვოინო და ორბელი. კომიტეტმა დაადგინა კრება 1901 წ. მოიწვიოს 15 აპრილიდგან 25 აპრილამდე. გარდა ამისა კომიტეტმა დაადგინა, ორის კვირის განმავლობაში შეადგინოს პროგრამმა კრებისა და დაწესებულებათა და მკურნალებს გაუგზავნონ, რომ კრების საგნების შესახებ თვისნი შრომანი წარმოადგინონ.

** პარასკევს, 30 ივნისს, ტფილისის მეორე განყოფილების სისხლის სამართლის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ ბ-ნმა ს. პ. დიაკონოვმა ხალხის დაუსწრებლად გასინჯა, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საქმე. ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის სოფელ ბანოჯის მცხოვრებს ვინმე ზ—ძეს მოუყვანია ქალაქში თვისი ბიძაშვილი 13—14 წლის ქალი და ჩამომხტარა ნომრებში და დაუწყია გაჭრობა ერთს სარდაფის პატრონთან, რომლისათვისაც უნდა მიეყიდნა თავისი ნათესავი ქალი რამდენიმე თუმნად. ეს შემაძრწუნებელი ამბავი შეუტყვია შემთხვევით პოლიციას, რომელსაც ორივენი ერთად მოსამართლესთვის წარუდგენია. 30 ივნისს მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა ეს საქმე და რადგანაც დამატებითი ცნობები საქმისათვის საჭირო შეიქმნა, დაადგინა გადასდოს საქმე, ამასთან მოსამართლემ ზ—ძე თავმდებობით გაანთავისუფლა, ხოლო ქალი გადასცა ბოქაულს საქმის გარჩევამდე კეთილ-სამედო ოჯახისათვის ჩასაბარებლად.

** უსინათლოთათვის მზრუნველ კავკასიის განყოფილების საბჭო თავის მოვალეობად სთვლის უღრმესი მადლობა გამოუცხადოს კნ. ნ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონისას, მ. ი. ზელიავსკისას, ე. ა. ბუტკევსკისას, ლ. ი. დრბოგლავს, ა. დ. კულბეგოვს; მ. ფ. გლავს, ნ. ფ. მარკოვისას, დ. გ. ხიტროვისას, კნიაჟ. ეგ. მ. და ელ. მ. სუმბათაშვილებისას, ნ. ნ. ტროფიმოვისას, კნ. დ. რ. ჭავჭავაძისას, ე. ა. შეფშენკოს, ა. ა. პავლოვსკის, ს. ა. პაშკევიჩს და ა. დ. ტირიუტინს, რომელთაც შრომა მიიღეს და აღნიშნულ განყოფილების სასარგებლოდ შეწირულებანი შეჰკრიბეს და აგრეთვე შემდა იმ ეკლესიების წინამძღვართ, რომელთაც თავიანთ მრევლში შეჰკრიბეს შეწირულებანი. 32 ეკლესიაში სულ შეუგროვებიათ 681 მან. და 40 კაპ.

** ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა, ქალაქის ცხენის რკინის გზის მმართველმა ბ-ნმა რობიმ, როგორც ყოველ წლობით, წელსაც გაუგზავნა ქალაქის გამგეობას ცხენის რკინის გზის 150 ბილეთი, რომლებითაც ქალაქის სამმართველოს მოხელენი მუქთად ისარგებლებენ.

** ს. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა). 24 ივნისს, მაზრის მთავრობის ნებართვითა და ადგილობრივის მკურნალის ლეოპოლდ გასილის ძის ბერტოლდისა და თავ. ივანე ზაქარიას ძის გაჩნაძის თაოსნობით წარმოდგენა იქმნა გამართული ადგილობრივის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. ხარჯს გარდა ნაღდი შემოსავალი დარჩა 60 მანეთამდის, რომელიც სკოლის შენობისთვის გადადებულ იქმნა. სწორედ რომ მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, რომლებმაც ამ საქველ-მოქმედო საქმეში მონაწილეობა მიიღეს, და განსაკუთრებით-კი აღნიშნული მკურნალი, რომელიც თავ-გამოდებით სცდილობდა ამ კეთილი საქმისთვის.

** სოფ. ნებითი-ქვისტიანი (კავკავის მაზრა) ამ სოფელში აგერ ორი თვეა ყივანახველა გავრცელებული. ეს სენი პირველად შიგა და შიგ იყო და ადვილად რჩებოდნენ ყმაწვილები, მაგრამ ახლა მთელის 1000 კომლის ბავშვებს მოედო და მრავალიც გაწყდა.

ს. მიქელ-გაბრიელი (გურია). სწორედ ერთი წელიწადია მას შემდეგ, რაც მიქელ-გაბრიელში ხმა გაისმა, რომ წიგნთ-საცავის დაარსების ნებართვა მიიღესო. დიდის სიხარულით ეგებებოდნენ ყველანი, აქაური ინტელლიგენტები თუ არა ინტელლიგენტები. ბევრს არა სჯეროდა, რომ წიგნთ საცავი რაიმე სარგებლობას მოუტანდა, მაგრამ ეხლა-კი ნათლად ხედავენ მის სიკეთეს მარტო იმითი მაინც, რომ უფასოდ გაზეთები და წიგნები გამოაქვთ და კითხულობენ. ამხაირად წიგნთ-საცავი არ არის მოკლებული საზოგადოების თანაგრძნობასა და გაზეთების მკითხველებს. მოკლებულია მხოლოდ მეთვალყურეობას, რის გამო ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ხშირად უპატრონოდ გდია სამკითხველო წიგნთ-საცავში და არც გაზეთებია თავისს დროზედ წიგნთსაცავში. უკეთესი იქნება, რომ გაზეთები პირველად სამკითხველოში მოდიოდეს და შემდეგ ოჯახებში იგზავნებოდეს, რაიცა ამდენ ხანს არ სრულდებოდა. ბ-ნმა გამგემ შემოწირულობა საკმაოდ მიიღო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ როგორც წიგნებით, ისე ფულად, წევრებიც ჰყავს, რომლებმაც თავიდგანვე შემოიტანეს ფული, ამას წინად წარმოდგენაც გამართეს ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და ამიტომ ადვილად შეუძლიან ბ-ნს გამგეს, რომ საქმე უკეთ მოაწყოს.

ამ სამის კვირის წინად შემნახველ-გამსესხებელ ბანკის დამფუძნებელთა კრება მოხდა. კრებაზედ მიწვეულ იყვნენ ვისაც ბანკში წევრად ჩაწერა სურდა. სანამ წევრებს ამოარჩევდნენ, ბ. მ. მეგრელიძემ განუმარტა დამსწრეთ, თუ რა არის ბანკი და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ამის შემდეგ წევრობის სურვილი განაცხადა ოცდა ხუთამდე კაცმა; ეს რიცხვი დაემატა იმ ორმოცდა რვა კაცს, რომლებიც ბანკის დამფუძნებლებად ითვლებიან. ამ ნაირად, ჯერ-ჯერობით ბანკს სამოცდა ცამეტამდე წევრი შეეძინა. ფულის შემოტანის ვადად დანიშნულია პირველი იანვარი. ბანკის თავმჯდომარედ ამოირჩიეს ი. გეჭაძე, ხაზინადრებად რ. მეგრელიძე და მ. მეგრელიძე.

# რუსეთი

იმათი თხოვნები, ვისაც პეტერბურგის უმაღლეს კურსებზედ ჰსურთ შესვლა, მიიღება 1 აგვისტომდე. თხოვნა დირექტორის სახელზედ უნდა გაიგზავნოს. თხოვნას თან უნდა ახლდეს: 1) ატტესტატი გიმნაზიის გათავებისა; 2) დაბადებისა და ნათლობის მოწმობა; 3) წოდების მოწმობა; 4) მოწმობა კეთილ-სამედო ყოფა-ქცევისა (ეს მოწმობა მხოლოდ მაშინ უნდა გაიგზავნოს, თუ ქალი იმ წელიწადს არ შედის კურსებზედ, რა წელსაც გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა); 5) თავისს ცხოვრების აღწერა; 6) დედ-მამისა ან მახლობელ ნათესავთა და მზრუნველთა მოწმობა; 7) მოწმობა იმისა, რომ საკმაო ქონება აქვს თავისს შესანახად; 8) ორი ფოტოგრაფიული სურათი, რომლებზედ მთხოვნელს ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი. თხოვნაში ისიც უნდა იყოს აღნიშნული, თუ სადა სცხოვრობს მთხოვნელი.

— 1900 წელს მთელს რუსეთში ჯარში 297 ათასი კაცი იქმნება გაწვეული.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ევროპის ყველა გაზეთები მისსიონერებს უსაყვედურებენ და აწინდელ ჩინეთის არეულობას იმათ აბრალებენ. ეს გაზეთები ერთხმად ამბობენ,

---

რადგან ახლა არ მოსწონდა როდსის აზრები ინგლისის გაბატონების შესახებ; მაგრამ დარწმუნდა რა, რომ სამხრეთ აფრიკის გოხეით გაძლიერებისათვის მისთვის საჭიროა დახმარება ჰოლანდიელთა მოახალშენეთა, რომელნიც უდიდესს ნაწილს სამხრეთ აფრიკის მცხოვრებლებისას შეადგენენ, როდსი მაშინვე შეუდგა აფრიკანდერებთან დაკავშირებას. თუმცა ამ ორთ ხალხთა შორის მტრობა იყო, მაგრამ როდს არ სჯეროდა ესა და ეგონა, მტრობა იმითია გამოწვეული, რომ ეს ხალხნი [illegible], და თავისს დროზედ მტრობა გაჰქრებაო.

როდსმა აქაც გაიმარჯვა: არა თუ დაუახლოვდა აფრიკანდერებსა, არამედ მოიმხრო თავისკენ ადრინდელი თავისი მოწინააღმდეგე გოფმეიერი და იქამდე დააჯერა თავისის აზრის სიკარგეში, რომ მალე იგი ამორჩეულ იქმნა ახალშენთა მინისტრ-პრეზიდენტად. ახლა-კი იმედი ჰქონდა, რომ თავისს ოცნებას სამხრეთ-აფრიკის ფედერაციის შედგენის შესახებ განახორციელებდა, მოინადირებდა რესპუბლიკების რწმუნებას, განსაკუთრებით ტრანსვაალისას; როდსმა მალე დაიმსახურა აფრიკანდერთა ნდობა და დაიმსახურა სახელი „ინგლისელისა, რომელსაც აფრიკელის გული აქვსო". მართლაც, როდსმა შეიყვარა სამხრეთი აფრიკა, როგორც თავისი მეორე სამშობლო—მან მიანიჭა მის ჯანმრთელობა, სიმდიდრე, იმედი ჰქონდა, რომ დიდებასაც მიაღწევდა. ერთობ მოსწონდა თვალგაუწვდენელი მყუდრო ველნი სამხრეთ აფრიკისა, ცოტად მოუხეშავი, მაგრამ გულწრფელი ხასიათი მწყემსის ხალხისა, რომელმაც გაამეხა იგინი და შეიტანა განათლება. როდსი გულწრფელად ამბობდა ხოლმე, რომ მე არ ვეძიებ არავითარს ადგილს ინგლისის პარლამენტში და არას დროს არ მსურს აფრიკას თავი დავანებო. იგი, ისე როგორც აფრიკანდერთა კავშირი, ამას ამტკიცებდა, რომ სამხრეთ აფრიკას უნდა ჰმართავდეს თვით სამხრეთ-აფრიკის ხალხი და არა ინგლისის მინისტრები, რომელთაც არა გაეგებათ-რა არც ხალხის საჭიროებისა, არც მათის სურვილებისა. საჭიროდ ჰხედავდა მხოლოდ საზოგადო კავშირს იმპერიასთან უშიშროებისათვის მტერთაგან, მაგრამ ამასთანავე შინაგანი საქმეები სამხრეთ აფრიკისა ხელ-უხლებელი უნდა ყოფილიყო და სრულიად დამოუკიდებელი.

1891 წელს აფრიკანდერთა კავშირმა გამართა როდსის სასახელოდ წლიური კრება, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა; მჭევრმეტყველურის სიტყვით როდსმა ცხადად და ნათლად აღნიშნა დიდებული სურათი შეერთებულის აფრიკისა, რომელიც უნდა მოახდარიყო ინგლისელთა და ჰოლანდიელთა თანხმობითა. მისმა სიტყვამ ყველანი მოჰხიბლა და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა. ეს იყო პირველი ხარისხი მისის ძლევისა და სახელი როდსისა განითქვა. ექვსის წლის განმავლობაში იგი იყო ნამდვილი ბატონი სამხრეთ აფრიკისა, ხელმძღვანელი საზოგადო აზრისა კაპის ახალშენში და პოლიტიკისა მთლად. როცა ასეთი ადგილი დაიჭირა კავშირში, მან დაუწყო ბრძოლა ტრანსვაალის რესპუბლიკის პოლიტიკას განცალკევებისას, რომელიც ხელს უშლიდა მის დიდს დაწყობილებას, მაგრამ იგი შეეტაკა ყველაზედ ძლიერს მოწინააღმდეგეს, პრეზიდენტს კრიუგერს.

თუმცა კრიუგერი 70 წლისა იყო, მაგრამ სულით ისეთივე ძლიერი იყო, როგორც თვით როდსი; აქ-კი მოხვდა ნამგალი ქვასა. კრიუგერმა კარგად იცოდა აზრი და მისწრაფებანი როდსისა და ამაში ჰხედავდა ტრანსვაალის მუქარასა. რამდენჯერმე შეუშალა მან როდსს ხელი, გაჩაღდა მათ შორის ბრძოლა. როდსმა, თუმცა იგი იმ ნიჭით იყო აღჭურვილი, რომ სიტყვით იმორჩილებდა ხალხს, კრიუგერთან ვერა გაჰყიდა-რა, ვერა გააწყო რა კერპ მოხუცთან. იგი დარწმუნდა, რომ ბრძოლით მასთან ვერას გააწყობდა, და ამიტომ სხვა გზას მიჰმართა: მოინდომა მისი გადაყენება პრეზიდენტობიდგან. რასაკვირველია, მისი გადაყენება ძალიან ძნელი იყო, რადგან კრიუგერს სახელი და დიდება ჰქონდა დამსახურებული, მაგრამ ოქროს მადნების აღმოჩენამ შესცვალა საქმის გარემოებანი, რომელსაც როდსმა ხელი მოჰკიდა თვისდა სასარგებლოდ.

მართლაც ოქროს აღმოჩენამ სავსებით აავსო იქაურობა უცხო-ქვეყნელებით, რომლებიც ოქროს საძიებლად სხვა-და-სხვა მხრიდგან მოესივნენ და ბურთა შორის დაჰბადა მარტო ოდენ სიძულვილი მოსულთა მიმართ: ქარხნები სოკოებივით გამრავლდა და მანქანათა ხმაურობამ დააყრუა აფრიკის ველ-მინდორთა მშვიდობა. ბევრმა ფერმების პატრონმა, აღელვებულმა და მოთმინებიდგან გამოსულმა ახალ მოსულებთაგან, რომელთაც მათი მყუდრო ცხოვრება შეარყიეს, მიანება იქაურობას თავი, ჩალის ფასად მიჰყიდა ყოველივე თვისი ქონება-ცხოვრება ახალ მოსულებს და თვით დაბარგულის ურმებით გასწიეს ჩრდილოეთისაკენ ახალის მიწა-წყლის საძიებლად, რომ მამა-პაპური შეურყეველი ცხოვრება დაეწყოთ. მაგრამ ყველა ხომ ვერ დაანებებდა თავს თავისს ნაამაგდარს ადგილსა; ბევრნი დარჩნენ და აი, მაშინ მოხდა არევ-დარე-

რომ ჩინელები ბუნებით მშვიდობის მოყვარე ხალხია; ჩხუბი, არეულობა და ხალხის ტანჯვა-წვალება მათ არ უყვართ; ხოლო თუ ეხლა ჩინელები ევროპიელებს არ ინდობენ, ამაში დამნაშავენი მხოლოდ და მარტო მისსიონერები არიან, რომელნიც ქრისტიანობის გავრცელების დროს თითქმის ძალასა ჰხმარობდნენ. აი ერთის რუსულის გაზეთის კორესპონდენტი რას იწერება პეკინიდგან (ეს წერილი 20 მაისს არის გამოგზავნილი და რუსეთში მხოლოდ ეხლა მოსულა): „15 მაისს ამბავი მოვიდა, რომ სადგურ ლუგოუციაოსს მოკრივენი დაეცნენ. მათ ცეცხლი წაუკიდეს სადგურს და დააქციეს ხიდი. ასეთივე დღე დასდგომია ფიენ-ტაის, პეკინიდგან ტიან-ძინში მიმავალ გზის პირველ სადგურს. ამ არეულობის დროს ფიენ-ტაიში მისულა ერთი ფრანგი ინჟენერი. ინჟენერს არაფერი სცოდნია. ბაქანზედ მთელი ბრბო შემოჰხვევია. ჩინელებს გამოუცხადებიათ, არეულობა მოვახდინეთ და გირჩევთ, ეხლავე წახვიდე აქედგანაო. ამასთან თვით დაუქირავებიათ ვირი, შეუსვამთ ზედ ინჟენერი და გამოუსტუმრებიათ პეკინისაკენ. მხოლოდ გზაში ვიღაცას ქვა უსროლია და თავი გაუტეხნია. პეკინამდე ინჟენერი მარტოდ-მარტო ამოვიდა. ამ კაცმა ჩინელების სოფლებზედ გამოიარა, ყველგან არეულობა იყო, მაგრამ ხელი მაინც არავინ ახლო. ეს ამბავი ნათლად ჰმოწმობს, რომ ჩინელები კულტურული ხალხია, რომ მათ ტყუილ-უბრალოდ ხალხის ამოწყვეტა არ უნდათ. ხოლო თუ ბევრგან საზღვარს გადავიდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ისინი მოთმინებიდგან გამოიყვანეს მისსიონერებმა და შეაძულეს ყველა უცხოქვეყნელი“.

— პეკინში გერმანიის საელჩოს მდივნად ნამყოფი ფონ-ჰოლდცე შემდეგს გადმოგვცემს პრინცის ტუანის შესახებ: „პრინცი მანჯურიის დასის მეთაური და წინამძღოლია; იგი ამასთან ობერ-კამერჰერია. ეს პრინცი სრულიად გაუნათლებელი, ბრიყვი კაცია, მაგრამ ამასთან საოცარი თავ-მოყვარე. როდესაც იმპერატრიცა წინაღუდგა იმპერატორის რეფორმებს, უმთავრესად მხარს მას პრინცი ტუანი უჭერდა. ტუანმა შეჰკრიბა 10000 კაცი და შეადგინა ამათგან ჯარი. ტუანის ჯარის-კაცები შეიარაღებულია შვიდ-ისრებით და მძიმე თოფებით. თვითო თოფი ორ კაცს დააქვს. ამას გარდა ამ ჯარს თვით ტუანის მიერ გამოგონილი ტყავის ზარბაზანიც აქვთ“.

— როგორც უკანასკნელად მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ჩინელებს ამ ბოლოს დროს რამდენჯერმე შემოუტევიათ ადგა ტიანძინისთვის, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოუხერხებიათ იმის აღება. საერთა შორისო ჯარს კარგად გაუმაგრებია იგი. ამ ჯარს უფროსობს რუსის გენერალი სტესსელი. ტიან-ძინში მყოფ ჯარსა და უცხო-ქვეყნელთ არავითარი შიში არ მოელის თურმე.

— „Neue Wiener Journal“-ი იუწყება, რომ, როგორც ამერიკიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს ხელ-შეკრულება დაუდვიათ. ამ ხელ-შეკრულობის ძალით შეერთებული შტატები ვალდებულია სამსახური გაუწიოს ჩინეთს იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს რომელიმე სახელმწიფო ემუქრება ან ცუდ რასმეს უპირებსო.

**ინგლისს-ტრანსვაალის ომი.** სწორედ საოცარ საქმეებს სჩადიან ბურები. ინგლისელები ამბობენ, რომ ორივე რესპუბლიკა დავიმორჩილეთო და ამავე დროს-კი ბურები ზედიზედ ამარცხებენ ინგლისის ჯარს. უკანასკნელი დამარცხება მაინც საოცარია. საყურადღებო ამ შემთხვევაში უფრო ის არის, რომ ბურებმა გაიმარჯვეს ზედ პრეტორიასთან, სადაც ინგლისის მთავარი ჯარი და ამ ჯარის მთავარი სარდალი რობერტსია. ინგლისელებმა ორივე სატახტო ქალაქი დაიჭირეს, 200,000 კაცი შეიყვანეს იქ, მაგრამ დამორჩილება მაინც ვერ შესძლეს ბურებისა, იმ ბურებისა, რომელთა რიცხვიც ქალებ-ბავშვებიანათ 500,000 სულს არ აღემატება. ეხლა კარგად მიჰხვდნენ ინგლისელები, რომ ეგრე ადვილი არა ყოფილა პატარა, მაგრამ თავისუფლებას შეჩვეულ ერის დამორჩილება.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, ბურებმა საბოლოოდ გარდასწყვიტეს არ დამორჩილდნენ ინგლისელებს და თუ ვერაფერი გააწყეს, ერთიანად სხვაგან სადმე გადასახლდნენ. ლორენცო-მარკეზში ბურების წარმომადგენელნი ჩასულან. ამ წარმომადგენლებს დავალებული აქვთ იშუამდგომლონ პორტუგალიის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ბურებს გაზოლანდში გადასახლებისა. ბურებს აზრადა აქვთ მთელის თავისის ქონებით გადავიდნენ ამ ოლქში და ხელახლად ცხოვრებას შეუდგნენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოსო, ხშირად ამბობენ ხოლმე, მაგრამ საქმით იშვიათად ასრულებენ. ბევრგან კანონი უძლურია ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე და ძლიერია მხოლოდ იქ, სადაც დაბალ ღობესა ჰნახავს. როგორც ეტყობა, ამერიკა ამ მხრივ არა ჰგავანებია სხვა ქვეყნებს: იქ კანონი ყველასთვის ერთია, იგი ძლიერსაც და უძლურსაც ერთნაირად ექცევა. ამას წინად ამერიკაში ასეთი საქმე მომხდარა. შეერთებულ შტატების პრეზიდენტს მაკკინლეის თავისს მამულში შენობა აუგია, მაგრამ წინ-და-წინვე ამის ნება-რთვა არ აუღია ქალაქის თვით-მმართველობისაგან. გაუგია თუ არა ეს ამბავი ქალაქის მოურავს, იმ წამსვე სასამართლოში საჩივარი აღუძრავს პრეზიდენტის წინააღმდეგ. მოსამართლეს ყურადღება არ მიუქცევია მოპასუხის დიდის თანამდებობისათვის და მაკკინლეისათვის 20 მანეთის ჯარიმის გადახდა გადაუწყვეტია. ასეთივე ამბავი ამას წინად საბერძნეთშიაც მომხდარა. მეფეს გეორგს უყიდნია მამული, მაგრამ ამ მამულის შემოსავლის რაოდენობა არ უცნობებია სათანადო დაწესებულებისათვის, როგორც ამას ადგილობრივი კანონი თხოულობს. ამის გამო სახელმწიფო კანტრალიორს მეორე დღესვე ქაღალდი დაუწერია და მეფესთან გაუგზავნია. კანტრალიორი კანონით დადებულ ჯარიმას—82 ფრანკსა თხოულობდა. მეფემ მაშინვე გადაიხადა ეს ჯარიმა.

* * *

გრაცში სასამართლოს ამას წინად განუხილავს ვინმე ალოიზი ფრანკენმერგერის საქმე. საქმის გარჩევის დროს თვით ფრანკენმერგერს უთქვამს: „მე ენგერტსგამში (ბავარიაშია) დავიბადე 1855 წელს. საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ გავყიდე ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება, ავიღე 10,000 მარკა და ამით თითქმის მთელი ქვეყანა შემოვიარე. გრაცში ცხოვრების დროს გაზეთებში შემდეგი განცხადება დავბეჭდე: „იმ ქალს, ვისაც ჰსურს მისთხოვდეს შეძლებულ კაცს, ვთხოვ მიჰმართოს ამასა და ამას“ მეთქი. მეორე დღესვე ქალებმა მოსვენება დამიფრთხეს: მდიდარ ქალებს, ღარიბებს, გუვერნანტკებს, ბონნებს, მოახლეებს,— ერთის სიტყვით, ყველას გულითა და სულით უნდოდა ჩემი ქმრობა. მე ყველაზედ სათითაოდ დავინიშნე და სათითაოდ ყველას გამოვტყუე ფული. ამ რიგად შევკრიბე რამდენიმე ათასი მანეთი და მიუნხენში გადავედი. იქაც ასე მოვიქეცი. მიუნხენიდგან ნასსაუში გადავედი, სადაც თორმეტ ქალზედ დავინიშნე და ავიღე 5000 ჰულდენი. ასე ვიარე რამდენსამე ქალაქში. ვიყავი, სხვათა შორის, ვენაშიაც, იქიდგან უკანვე მიუნხენში დავბრუნდი, შემდეგ გრაცში. აქ, ჩემდა საუბედუროდ, პირველმა დანიშნულმა მნახა, მიჩივლა, და ეხლა, როგორც, ჰხედავთ, თქვენ წინაშე ვდგევარ“. სასამართლომ ფრანკენმერგერს $2^1/_2$ წლის დაპატიმრება გადაუწყვიტა.

* * *

ამერიკაში, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, მოუგონიათ ახალი გასართობი—ნადირობა კაცზედ. ამერიკაში ჰყავთ ერთგვარი ძაღლები. სიანჩხლით ამ ჯიშის ძაღლს ვერც ერთი სხვა ძაღლი ვერ შეედრება. ამ ძაღლებს წინად გაქცეულ მონების დასაჭერად ჰხმარობდნენ. კაცზედ ნადირობა გამართა ერთმა კლუბმა, რომელიც ვირგილიის შტატში არსებობს. კლუბმა ამისთვის ორი მაწანწალა დაიქირავა. ამ მაწანწალებს ორის საათის ვადა მისცეს: უნდა წასულიყვნენ ტყეში და დამალულიყვნენ. ორის საათის შემდეგ ამხედრებული მონადირენი ტყეში შეცვივდნენ; წინ ძაღლები მირბოდნენ. ძაღლებმა მალე მიაგნეს „ნადირის“ კვალს, გაიგდეს წინ ორი მაწანწალა და რომ ხეზედ ასვლით არ ეშველად თავისთვის, უეჭველად დაჰგლეჯავდნენ. მონადირეების სიხარულს საზღვარი არა ჰქონია თურმე. ასეთ გასართობს ეძლევა „განათლებული ხალხი“ ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს!

# დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი

**პეტერბურგი.** 1864 წ. პირველ შინაგან მომგებიან სესხის მე-7 ტირაჟში გამოვიდა სერიები შემდეგის №№-ბისა: 4522, 11104, 13871, 14629, 15163, 13484, 16047, 3461, 19342, 17663, 18971, 4668, 8591, 16206, 12277, 19823, 19784, 17950, 10362, 8314, 17004, 18392, 18628, 9247, 4006, 14831, 11486, 2352, 4872, 3741, 6591, 17975, 13766, 11681, 2819, 168, 15645, 10536, 13904, 13507, 16100, 14110, 11606, 16567, 12821, 5874, 6212, 3242, 3975, 564, 3619, 10072, 7163, 17396, (17369?), 12823, 13759, 3985, 7196 17093, 7544, 297, 11320, 12268, 8753, 15409, 4554, 18865, 18887, 3526, 8559, 17544, 1784, 19772, 6079, 14658, 9251, 5647, 14388, 19048, 4964, 17911, 4151, 16969, 7952, 1051, 991, 1304, 15457, 15944, 16631, 6144, 6105, 12701, 15842, 12936, 69506 (?), 8682, 7218, 11022, 17264, 2717, 11094, 15775, 10095, 7871, 10302, 3746, 9190, 6318, 15507, 8993, 17067, 4579, 4530, 15005, 109, 15191, 12722, 2196, 5585, 11830, 15537, 15227, 3567, 4822, 4728, 4506, 1213, 5440, 6482, 6137, 6823, 18749, 10282, 9356, 12765, 8256, 11850, 7553, 1733, 7055, 12066, 14336, 10822, 16644, 1652, 8075, 15080, 8961, 15777, 13786, 5220, 13277, 11730, 7533, 3757, 5216, 11984, 14050, 14186, 11621, 435, 7548, 9456, 10450, 8350, 11488, 16529, 12900, 14360, 7006, 12313, 2872, 4490, 6084, 8452, 2457, 11910, 477, 12243, 8451, 18374, 3679, 19453, 13051, 9092, 17308, 11040, 7884; 394, 17588, 6251, 14, 15467, 19811, 8236, 11630, 7649, 7907, 1658, 3316, 5852, 12895, 11302, 3, 3887, 19068, 6376, 5626, 6890, 15741, 942, 11693, 11915, 5346, 3874, 3099, 9624, 2563, 15815, 18262, 3064, 8898, 7180, 11790, 868, 14315, 4169, 14735, 1508, 10036, 19734.

**ტიან-ძინი.** 21 ივნისს (?). შეერთებულ ჯარების უფროსთ სურვილი აქვთ ერთმანეთის თანხმობით იმოქმედონ, მაგრამ ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ერთობა არ არის მათში. წარსულს კვირას ჩინელების მხარეს იყო გამარჯვება, რომელთა არტილერიაც ღირსებით ადგილობრივ ევროპის ჯარის არტილერიას აღემატება.

**პარიჟი.** სანდო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ 30,000 რუსის ჯარის-კაცი მიდის პეკინზე ჩრდილოეთით.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენში პირველ მინისტრად ნამყოფმა შრეინერმა კერძო ლაპარაკში გამოსთქვა, რომ ის მხარს არ დაუჭერს აფრიკა-

---

ვა; ბურები ვერ შეეთვისნენ ახალს ცხოვრებას; ახალ-მოსულებს მათი მწყემსური ცხოვრება არც მოსწონდათ და არც რამე ეპიტნავებოდათ.

როდსი ყველა ამას ტრანსვაალში თვალ-ყურს ადევნებდა, და შეატყო, რომ ახალ-მოსულებს არ მოსწონდათ ტრანსვაალის კანონები და დარწმუნდა, რომ ადრე თუ მალე იოჰანესბურგში რევოლიუცია მოხდებოდა. აი, მაშინ ინგლისს მიეცემოდა კარგი და მარჯვე შემთხვევა, ვითომდა თვისთა ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველად, დაემორჩილებინა ბურები, მაგრამ როდს არ ასვენებდა გერმანიის ჩურჩული კრიუგერთან. იგი შეეცადა დაეჩქარებინა ამბოხება ტრანსვაალში, ვიდრე დაამყარებდა თვისს კავშირს გერმანიასთან.

როდსი შეუდგა იოჰანნესბურგში რევოლიუციის მოხდენას, რომელიც მისგან დაარსებულს ამხანაგობას შემთხვევას მისცემდა საქმეში ჩარევისას. საქმის წაგების ეჭვი არა ჰქონდა როდსსა და სრულიად დაწყნარებით ჰბჭობდა თავისს ამხანაგებთან ერთად იმის შესახებ, რა ღონე ეღონათ რევოლიუციის შესახებ. ყოველივე განმზადებული იყო, მხოლოდ საქმე იმაზედ მიდგა, როდის დაენიშნათ დღე ამბოხებისა. უმთავრესი გამგე ამ საქმისა დოქტორი ჯემსონი ამ განზრახვით წავიდა იოჰანესბურგში. ჯემსონმა გაიცნო როდსი კიმბერლეიში და დაუახლოვდა თუ არა, გახდა მისს ურთგულეს მეგობრად და მომხრედ. თვით უხასიათო კაცი იყო და ყველაფერში ემორჩილებოდა როდსსა. სამხრეთ-აფრიკაში ჯემსონი თავისის მკურნალობით განთქმული იყო და ცნობილიც ამ წოდებით—„მკურნალი ჯიმი“. მატაბელებთა ომში 1892 წელს მან მოიხვეჭა სახელი გმირისა და როდსს ამიტომ დიდი იმედი ჰქონდა მისი; მაგრამ ჯემსონის აჩქარება იყო მიზეზი იმისი, რომ როდსის აზრმა ველარ გაიმარჯვა. დღედ ამბოხებისა დანიშნული იყო 28 დეკემბერი. ჯემსონს უნდა მოეცადნა, თუ რა ამბები მოუვიდოდა იოჰანესბურგიდგან, რომ არა ეფიქრნათ-რა ინგლისის მთავრობის და როდსის ამხანაგობის შესახებ, ჯემსონს წინდაწინვე დამზადებული უთარიღო წერილი მისცეს, ხელმოწერილი ამბოხების მოთავეთაგან. ამ წერილში მოხსენებული იყო გაჭირვებული მდგომარეობა იოჰანნესბურგისა, მოლოდინი ამბოხებისა და გამოთქმული იყო თხოვნა, რათა დაეცვათ წესიერება ქალაქში, დაეფარათ რამდენიმე ათასი უმწეოდ დამთენილი მოქალაქე, ქალნი და ბავშვნი, რომლებიც შეიარაღებული ბურებს ჩაუვარდებოდათ ხელში. ჯემსონს თვით უნდა დაესვა თარიღი ამ წერილზედ იმ დროს, როდესაც გაემგზავრებოდა საომრად.

მაგრამ თვით იოჰანნესბურგში უთანხმოება ჩამოვარდა; ზოგი მიუდგა როდსს, ზოგი წინააღმდეგი გახდა ინგლისის ამხანაგობის ჯარების შემოსევისა წესიერებისა და ხალხის დასაცველად; ამბობდნენ, რომ ასეთი მოქმედება შეუცვლის ხასიათს რევოლიუციის მოძრაობას და ეს იქნება ომის გამოცხადება ტრანსვაალის მთავრობასთანაო. ბოლოს ორს დასს შორის სრული უთანხმოება შეიქმნა, როდესაც გავრცელდა ხმა, რომ ჯემსონი მოვა თუ არა იოჰანნესბურგში, ინგლისის დროშას აღმართავსო. რასაკვირველია, სხვათა სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ ეს არ მოეწონათ და როდსს კაპშტადტში მოციქული გაუგზავნეს; როდსმა უპასუხა, რომ მე სრულიადაც არა ვარ მოწადინებული ამ აზრის შესრულებას, გარემოებანი თვით გადასწყვეტენ დროშის საქმესაო. მოციქულმა როდსს მოულოდნელი ამბავი მოუტანა, რომ იოჰანესბურგში სრულიადაც არ არიან მზად ამბოხება დაიწყონ, არა აქვთ საკმაოდ არც იარაღი, არც სამხედრო სურსათიო. ჯემსონს ფიცხლავ გაუგზავნა დეპეშა, რომ ახლის განკარგულებისათვის შეეცადნა. მაგრამ გულ-ფიცხელმა ჯემსონმა აღარ შეიცადა. ეგონა, რომ ის ამბავი, ვითომ იოჰანესბურგელები ამბოხებისათვის მომზადებულნი არ არიან, ტყუილი და მოგონილია და მათის ლაჩრობით იქმნება გამოწვეულიო. ამასთან ჯემსონმა შეიტყო, რომ ტრანსვაალის საზღვრებზე ჯაშუშები გაჩნდნენო, და არ უნდოდა, რომ ტრანსვაალის მთავრობა წინ გადაღობებოდა და გზა შეეკრა, ამიტომ როდსს დეპეშის პასუხად დეპეშითვე მისწერა: „მე დღეს საღამოს მივდივარ“. მაგრამ პრეზიდენტმა კრიუგერმა ყოველივე ეს წინადვე შეატყო და კრიუგერსდორნში ჯემსონი წააწყდა ბურების რაზმს, რომელმაც გზა გადაუღობა. ჯემსონი იქამდე დარწმუნებული იყო დავძლევო ბურებს, რომ თეთრი დროშაც კი არ წამოეღო თანა და როცა საქმე გაუჭირდა, თავისის თოფის ზუმბაზედ თვისი პერანგი ჩამოაცვა საჩვენებლად. იმ გლეხებმა, რომელთაც ჯემსონი ზიზღით უყურებდა, რამდენისამე საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ ჯემსონი დაამარცხეს. იგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა და ტყვედ წააბრძანეს პრეტორიაში, იმ პრეტორიაში, სადაც ძლევა-მოსილად შესვლას ჰლამობდა.

ს. მგალობლიშვილი

(დასასრული იქმნება)

ნდერთა პორტას კინკის ყრაზე, თუ ისინი ნდობას არ გამოუცხადებენ ახლანდელს პირველს მინისტრს სპრონგუს. იგი არ იქნება მოშხრე რესპუბლიკების ეზოებრივ დამოუკიდებლობისა, ხოლო ჰგონია, რომ უცხოეთი იქნება, თუ ისინი დაიცვენ ცრეტაობენ დამოუკიდებლობას.

**შანხაი.** ცზიან-სუ-ლიზიან-ილის ნის პროვინციის გუბერნატორი, მგამბორი ლიუნისენისა, რომელსაც უცხოელები სძაგს, დღეს ჩუნგუდგან გამოვიდა აქ მოგროვილის 4000 ჯარის-კაცით და პეკინისაკენ გამოსწიაო. „დიდი მუშტის" დიდი ძალი მაშინდელ ვანიანგიუს არე-მარეშია; განწირულ და ემუქრებიან უცხოელთა და ადგილობრივ ქრისტიანთ. უცხოელთა უბნების წყვარი, რომელთა მორისაც უმთავრესად მისიონერები არიან, მშვიდობით მიცილდნენ დღეს ნინგუში.

**ტიან-ძინი, 25 ივნისი.** „ჩინელებმა დიდძალ ცეცხლის სახლთან. რკინის გზის ახლო ექვსი ზარბაზანი და დანარჩენი ცეცხლის ტყვიანისი სახლთან. აქიდგან განუწყვეტლივ ისროდნენ, ასე რომ შეუძლებელი იყო პოზიციების გამაგრება. ჩინელებმა დაიჭირეს ღმერთმაი სოფლისანაი სახლიდორების დარბაზი და ტყვი დამოინეს. ტიანძინის ქვემოთ მდინარეზე შეუძლებელია ხომალდების მიმოსვლა, რადგან ზემოთი ნაწილი მდინარისა ჩინელებმა გადაულებს. გზის დიდი ნაწილი ჩინელებს ხელშია.

**პრეტორია.** ბურები კვლავ მოდაში არიან, ფორტსიდგან ხუთი მილის სიშორეზე ჩრდილოეთისაკენ. მათ დაიჭირეს ვანდერბოლის და ტასოორტი. ლინკოლშირის წინაამდეგობისა გამო ნეიტრალისტად ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ჰააგა.** სამხედრო გემები „კრონპრინცი ვილჰელმისა" და „პილეზიკი" დღეს მიდიან ნიდერლანდის ინდოეთიდგან ჩინეთში, რომ ერთი დივიზია შეადგინონ სამხედრო გემ „ზოლანდისთან" ერთად, რომელიც დღეს გონკონგიდგან შანხაიში წავიდა.

**პეტერბურგი.** 30 ივნისი *) ბირჟა. 5% გირავნობის ფურცლები ტფილის. სათავ.-აზნაურთ ბანკისა—98 მ. გამყიდ., 4½%—87 მ. მყიდ., 6% გირავნობის ფურცლები ქუთ. სათ.-აზნ. ბანკისა—100 გამყიდ. 5%—98 მ. გამყიდ.

2 ივლისი

**პეტერბურგი.** 4 ივლისს პეტერბურგში სპარსიონი შაჰი ჩამოვა.

უმაღლესი ბრძანება: სახელმწიფო რჩევის სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის წევრს სტატს-სეკრეტარს გრძანება ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარე უოფნა; შინაგან საქმეთა მინისტრის დროებით წავიდა პეტერბურგიდგან და სამინისტროს მართვა თავისს ამხანაგს სენატორ დურნოვოს ჩააბარა.

**პარიზი.** ლუბე სამხედრო მინისტრისა და ვალდეკ-რუსსოს თანხლებით დღეს სასახლიდგან ჯარების დასათვალიერებლად წაბრძანდა. ლონშანში მას მიეგებნენ ყვირილით: „გაუმარჯოს ლუბეს, გაუმარჯოს რესპუბლიკას!" ყვირილებდნენ აგრეთვე

*) დეპეშა პეტერბურგიდგან 30 ივნისს 3 ს. და 50 წ. არის მიღებული, ტფილისში-კი 2 ივლისს, დილის 7 საათზე მოვიდა.

„გაუმარჯოს ჯარსაო". ვილმაც დაიძახა: „სიკვდილი ლუბეს"; იგი მაშინვე დაატუსაღეს იქვე.

**ტრიესტი.** ინგლისის ესკადრა ვენეციიდგან გავიდა.

**ჰონკონგი.** ლიხუნჩანს მოუვიდა წინადადება უთუოდ პეკინს წავიდეს. ამიტომ, ლიხუნჩანი ხვალ წავაო. ჩინელები იმ აზრის არიან, რომ კანტონიდგან ლი-ხუნ-ჩანის წასვლისათანავე ამბოხება თავს იჩენს.

**ვაშინგტონი.** აქაური პოლიტიკური წრეები მეტად კმაყოფილნი არიან ჰაის ცირკულიარით, რადგანაც მასში აღიარებულია იგივე პრინციპები, რომლებიც ამერიკა ჩინეთში ხელმძღვანელობს.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტი სადამოზედ ელისეს სასახლეში დაბრუნდა. გზაზედ არა შემთხვევია რა.

3 ივლისი

**პეტერბურგი.** იაპონიის პრინცი კან-ინი 2 ივლისს მათმა უდიდებულესობამ მიიღო გამოსათხოვრად.

**შანხაი.** ტელეგრაფი დარწმუნებით იუწყება შანდუნის დეპეშით 24 ივნისს, რომ ევროპის შეერთებულნ ჯარებმა, რომლებიც საკანონებს მტერს ბანაკზე მისვლა მოუწყებელებიათ და გენერალის მეჯიის 200 ჯარის-კაცი მოუკლავთ. „დიდმა მუშტმა" საელჩოები იერიშით ვერ აიღო. ორი ზარბაზანი მოიტანეს, რომ მტრის ჯარი გაარეკონ. მდგომარეობა გამკეთდებოდა.

შანდუნის გუბერნატორი იუწყება 29 ივნისიდან: „ჩინელი ჯარისკაცნი და „დიდი მუშტი" ერთად ჩამოეზიდებინ და საელჩოებს ერთობლივად ალყას არტყამენ, მაგრამ დღემდის ვერ შესულან. მთავრობა დიდად შეწუხებულია".

**ჩიფუ.** 27 ივნისს დეპეშა მოვიდა ჩიფუდამ, რომელიც 23-ისა, 24 და 25-ის ამბავს გადმოგვცემს. ჩინელთა რიცხვი თან-და-თან კადნიერდება; ქალაქს უფრო-და-უფრო უახლოვდებიან. მათმა ტყვია-წამლებმა ყველა შენობები გადასწვა. 24 ივნისს ინგლისელნი და ამერიკელნი ამაოდ ცდილობდნენ ჩინელებისათვის ზარბაზნები წაერთმიათ. ჩინელებმა უცხოელთა უბნებში დიდი იერიში მიიტანეს, მაგრამ იაპონელთა მიერ უკუ-ქცეულ იქმნენ. 24 ივნისს ჩინელებმა რომლებიც ახალ ადგილს დაუშინეს ყუმბარები. 25 ივნისამდე ზარბაზნებით ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**ფიჟუ.** ვიცე-კოროლმა და მანჯურიის გენერალმა ყველა უცხოელ კონსულებთან ერთად პირობას ხელი მოაწერეს, რომლითაც უცხოელთა სიცოცხლისა და ქონების დაცვას კისრულობენ.

**იოკაჰამა.** 30 ივნისს ტოკიოში მიიღეს ჩინეთის ელჩის გარეშე საქმეთა მინისტრის დარბაზობა გაუწვია და აცნობა ის დეპეშა, რომელიც პეკინში მომხდარ არეულობის შემდეგ პირველად მიუღია. დეპეშა იუწყება, რომ გერმანიის ელჩის სიკვდილი იმისი მიზეზი იყო, რომ ტოკიდგან ამბავი მოვიდა სიმართლეს ქვემდებარე იყო. მთავრობა ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ პეკინში მყოფ უცხოელებს მფარველობა გაუწიოს.

**ლონდონი.** სეიმურის ოფიციალური პირველი დეპეშა ტიან ძინიდგან, 26 ივნსს: „დღეს დილით უცხოელთა უბნების სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სიმაგრეებზედ იერიში იქმნა მიტანილი. იაპონელებმა მტერი განსდევნეს და ოთხი ზარბაზანი წაართვეს. ცხენოსანი ჯარი მტერს კვალში მიჰყვა. მტერი სრულიად ძლეულ იქმნა. ჩინელ ჯარის-კაცთა და „დიდი მუშტისაგან" მრავალი იქმნა მოკლული. ევროპის შეერთებულმა ჯარებმა კარგა ხნის სროლის შემდეგ დასავლეთ მხარის თოფხანა აიღეს, ორი ზარბაზანი წაართვეს და თოფხანას ცეცხლი წაუკიდეს. მტერს 350 ჯარის-კაცი მოუკვდა; შეერთებულს ჯარებს მცირე ზარალი მოუვიდა".

მეორე დეპეშა, 29 ივნისს გამოგზავნილი: „გუშინ, დილის 3 საათზედ, ჩინელები რკინის გზის სადგურს მხნედ დაესხნენ თავს, მაგრამ დილის 6 საათზედ უკუ-ქცეულ იქმნენ; შეერთებულმა ჯარებმა 150 მოკლული და დაჭრილი ჯარის-კაცი დაჰკარგეს. ჩინელების ზარალი ჯერ გამოანგარიშებული არ არის, მაგრამ დიდი არ უნდა იყოს. საღამოთი ინგლისელებმა და ფრანგებმა სიმაგრეებს სროლა დაუწყეს. ერთი სიმაგრე და ერთი სამლოცველო სახლი დაქცეულ იქმნენო". 500 ამერიკელი ჩამოჩამოვიდა.

**ჩიფუ.** 28 ივნისს ტელეგრაფი უკვე აღდგენილ იყო.

**ლოძი.** წარსულს საღამოს ვეიდენბერგის ბამბეულ ნაწარმოებთა ფაბრიკას ცეცხლი წაეკიდა· სხვაგან კიდევ „ნადეჟდას" სატრანსპორტო საზოგადოებას წაკიდა ცეცხლი. ზარალი საკმაოდ დიდია,

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ლ

ლადრვა—კლანჭებით ფხაჭვნა, ნალადრი—ნაფხაჭნი.

ლადუნი—კატუნი, გარეული კატა. ფშ.

ლამისმთეველი—მლოცველი, რომელიც სალოცავში ღამე უძილოდ ათევს, რადგან შეუთქვამ. ქართ.

ლამის მნათობნი—ღამის მნათობელნი, მაგ. მთვარე.

ლამურა—მათრობელა ბალახია.

ლალღა—бекасъ და არა „ფრინველი ყვავის მსგავსიო галка", ამბობს ჩუბ., галка—ქილყვავია.

ლაჯღაჯი—ლაჯღაჯა ბებერი, ავის ენის პატრონი ბებერი დედაკაცი. ფშ.

ლერძკალა—პატარა ლერძი, თვლებში უბრალოდ გაყრილი. ქართ.

ლეპეპი—ბალახის ღერო ახლად ამოტანილი, ყლორტი. ქართ.

ლელელა—გულ-გაღეღილი, ან ტანისამოს-გახსნილი.

ლექია—უგემურად მოლაპარაკე, ლექვით, ნელ-ნელა.

ლვართქაფი—ნიაღვარი, მოვარდნილი წვიმის წყალი.

ლვარძლა ბალახი—მც. ღვარძლის მსგავსი.

ლვერა—ერთ ნავთევად წაღებული გრძელი სვე სათიბში

ლივი—ღოლო. ფშ.

ლმურძლი—დარგვალებული მაგარი ხორცები კან ქვეშ. ქარ.

ლოლღველი—ქისტი, ჩაჩანი. ხევს.

ლნავილი—კატის ჩხავილი. ფშ.

ლობე-ყურეს მოდება—სხვა-და-სხვა მიზეზების გაჩენა.

ლობევ დაბალო, სადა ხარ?—სუსტს და ულონოს რო ძლიერი დაჰჩაგრავს, იმაზედ იტყვიან.

ლოკი—ჭირია ერთგვარი, ყელში გაუჩნდება ღორს და კამეჩს და იეგ ჰკლავს. ქართ.

ლობურად ჩამოტარება—რიგზედ მიყოლება ერთის მხრიდგან. ქართ.

ლოლო—თესლიდგან ახლად გამოსული ყლორტი. ქართ.

ლოჯი—ფესვიდგან ახლად გამოტანილი ფესვი. ქართ.

ლრიტინი—გუთნის ღრიჭინი. ქართ.

ლრძუვი—ღრძუ, გულუწმინდური კაცი, შურიანი და სხვისათვის კარგის არ მომდომი. ფშ.

ლურღუმელი—მორევი, სადაც წყალი ტრიალებს და ღურღურით წყლის უფსკრულში ინთქმება.

ლურღური—მორევის ხმაურობა.

ლულით მკა—უსათითეოდ მკა ყანისა. ფშავ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 140.

## ანგარიში ბახმაროს წიგნთ საცავის განყოფილებისა.

ამ ბოლოს დროს ბახმაროს საავგარაკომ სახელი გაითქვა თავისის შესანიშნავის ჰავით; რის გამოც ზაფხულობით საკმაოდ დიდი საზოგადოება იყრის აქ თავსა, უფრო-კი გურიიდგანა და ახლო მახლო მდებარე ქალაქებიდგან. სხვა-და-სხვა საჭიროებათა შორის, ბახმაროსათვის აუცილებელი შეიქმნა სამკითხველო, რომელიც ბ-ნმა სოლომონ ჭეიშვილმა დააკმაყოფილა. მან, როგორც ასკანის წიგნთ-საცავის მმართველმა, 1898 წ, აქ გახსნა წიგნთ-საცავის განყოფილება. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ბახმაროში ხელის მოწერით 1897—1898 წ. შეგროვდა 62 მ. 30 კ., რომელსაც დაემატა სარგებელი 4 მ. 52 კ., სულ 66 მ. 82 კ. ეს ფული მოხმარდა 1898—1899 წლებში თექვსმეტამდე სხვა-და-სხვა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთების დაკვეთას. 1899 წელში ხელის მოწერით კიდევ შეგროვდა 103 მ. 20 კ. ამას გარდა, ბ-ნმა მიხეილ შარაშიძემ ერთს დღეს წიგნთ-საცავის სასარგებლოდ დაუთმო „კეგლი", რომლისაგან, შემოვიდა 8 მ. 60 კ., სულ შედგა 111 მ. და 80 კ. ამ ფულიდგან 100 მანეთი მიეცა დურგლებს, რომლებმაც წიგნთ-საცავისათვის შენობა უნდაააშენონ, 2 მან. სახლის ქირას მოუნდა, სადაც ორს უკანასკნელს კვირას იყო მოთავსებული წიგნთ-საცავი; დანარჩენი 9 მ. და 80 კ. ბ-ნს ბესარიონ თალაკვაძეს აქვს მიბარებული. აი სია ხელის მომწერთა.

ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს: გიორგი ბერიძემ და არტემ დავიდიანცმა,—ოთხ-ოთხი მანეთი: კნ. სოფიო ნაკაშიძისამ და თავ. ნიკო თავდგირიძემ; სამ-სამი მანეთი: თ. ივანე მაჭუტაძემ, ივანე ძიძიეიშვილმა და ექ. ექვთიმე ვაშაკიძემ,—ორ-ორი მანეთი: კნ. ტასია გურიელისამ, თ. ალექსანდრე ერისთავმა, ისიდორე ქიქოძემ, იონა კანდელაკმა, გ. თავართქილაძემ, გრიგოლ თენეიშვილმა, პეტრე სურგულაძემ, მიხეილ სადრაძემ, არსენ მამულაიშვილმა, ლუკა გ. შარაშიძემ და გაბრიელ მეგრელიშვილმა; თითო მანეთი: სპირიდონ კვირკელიამ, ნიკიფორე მამინაიშვილმა, ნინო გურიელისამ, ნინოთავდგირიძისამ, X. X., ბ. ვოლსკისამ, ოლღა ერისთავისამ, ფ. ბ. ვლადეკმა, ვლადიმირ შევარდნაძემ, ვასილ ურუშაძემ, ბლ. მღ. სილიბისტრო ჩხაიძემ, ვლადიმირ გელაძემ, პროკოპი ბერეჟიანმა, მღ. დიმიტრი ქიქოძემ, მღ. სერგი გალოგრემ, ივანე ბოლქვაძემ, მარო ნაკაშიძემ, სამსონ ჩხარტიშვილმა, მღ. იაკობ სიხარულიძემ, მღ. ნესტორ კონტრიძემ, სოფიო ქარცივაძემ, ილარიონ ქილიფთარმა, გიორგი ლოლუამ, ანტონ ოდიშარიამ, ნიკოლოზ ბებურიშვილმა, სოლომონ მდინარაძემ, პატკუ თაყაიშვილმა, მოსე ინწკირველმა, ანტონ გოგიაშვილმა, მღ. მაქსიმელ სიხარულიძემ, ლეონტი ლოლობერიძემ, მიხეილ თუმანიშვილმა, ანტონ წულუკიძემ, ვანო გურიელმა, გიგო შარაშიძემ, იასონ მოსეშვილმა, ვარდო მაქსიმენიშვილმა, ივლიანე ჭეიშვილმა, ანტონ ბ. ჩხაიძემ, მიხაკო მაქსიმენიშვილმა, თედორე ნაკაშიძემ, ნინო ქიქოძისამ, ივლიანე სულუხიამ, სამსონ სვანიძემ, პარმენ ასათიანმა, ბორის პადკოლზინმა, თომა ლომჭარიამ, ერმილე ნინიძემ, ნიკო წუწუნავამ, ასლან მეავანაძემ, მოსე ასათიანმა დ ბესარიონ ბერიძემ; ათ-ათი შაური: მარიამ ჯაყელმა, გრიგოლ დოლიძემ და მილოსი გუგუნავამ; ხუთი შაური: სილიბისტრო თავართქილაძემ; 20 კ. ექიმმა ერმილე სოფრომისძე ხუნდაძემ და 10 კ. გიორგი დოლიძემ.

ბახმაროს წიგნთ-საცავის დროებით გამგე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

4 ივლისი

საქმე ნახარბეი შერვაშიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

გიგო გელაძისა, რომელსაც სასჯ. დებულების მე-1649 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენის ბრალი ედება.

21 ივლისი

საქმე ვლადიმირ კობახიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

სპირიდონ და პავლე გულიტაშვილებისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-996 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

თელა ბუგულაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.


## განცხადებანი

მკურნალი
ვ. გ. წერეთელი
იღებს
შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.
ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

„იავნანამ რა ჰქმნა?"
სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა,
დაბეჭდილი მესამედ „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ, რომლის საკუთრებასაც შეადგენს. წიგნაკი შემკულია ცხრა სურათით და ღირს ერთ შაურად. იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და სხვა ქალაქებშიაც გაიგზავნება.
(4—4)

გამოვიდა ახალი წიგნები:
ა) უკვდავთა ლაღადებანი
ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.
ბ) ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.
გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.
დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.
ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.
(20—უ.—12)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე